საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

# გიორგი III (ტ ა ო ე ლ ი)

გიორგი III (ტ ა ო ე ლ ი), საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაახლ. XI ს. 50–60-იან წწ. მეფე ბაგრატ IV -ის თანამედროვე. საპატრიარქო ტახტი დაიკავა კათოლიკოს-პატრიარქ იოანე II-ის შემდეგ. 1057 შიომღვიმის მონასტრისადმი მეფის მიერ შეწირულების სიგელს გ. III-ის დამტკიცება და ხელრთვაც ახლავს.

*წყარო* : მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 1, თბ., 1955; ქართული სამართლის ძეგლები ი. დოლიძის *გამოც.*, ტ. 2, თბ., 1968.

***გ. აბაშიძე***